სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის

დებულება

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე 07. 09.2017, #15

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით
საბჭოზე: 05.03.2024, #1

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი (შემდგომში - "ინსტიტუტი") წარმოადგენს სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - "უნივერსიტეტი") დამოუკიდებელ მულტიდისციპლინურ სამეცნიერო-კვლევით სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ჰყავს მართვის საკუთარი ორგანო;

1.2 ინსტიტუტის მიზანია: საკუთარი საქმიანობის სფეროში კვალიფიციური დისციპლინური და მულტიდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელება, ასევე, უნივერსიტეტის სამეცნიერო-სასწავლო პოტენციალის ამაღლება და ხარისხის გაუმჯობესება, დამოუკიდებელი კვლევების განხორციელება და ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება;

1.3 ინსტიტუტის ორგანიზაციული მართვა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორის მეშვეობით;

1.4 უნივერსიტეტი და ინსტიტუტი უზრუნველყოფენ სამეცნიერო პერსონალის კვლევის თავისუფლებას.

მუხლი 2. ინსტიტუტის საქმიანობა

2.1. ინსტიტუტი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ახორციელებს როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე - კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე და უნივერსიტეტის დაკვეთით;

2.2. ინსტიტუტის საქმიანობის სფეროა სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში, რომელიც მოიცავს თეატროლოგიას,

კინომცოდნეობას, ხელოვნებათმცოდნეობას, ქორეოლოგიას, კულტუროლოგიას, სახელოვნებო განათლებას, მედიაკვლევებს, ხელოვნების მენეჯმენტს და ა. შ.

2.3. ინსტიტუტი, ვალდებულია საკვლევი თემები გააცნოს და შეუთანხმოს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;

2.4. ინსტიტუტს, მათ შორის მის ცალკეულ თანამშრომელს, აქვს უფლებამოსილება, კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა;

2.5. ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს, გარდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში (სწავლების სამივე საფეხურზე);

2.6. ინსტიტუტი თავისი საქმიანობის წლიურ ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

მუხლი 3. ინსტიტუტის უფლებამოსილება

3.1. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, ინსტიტუტი უფლებამოსილია:

3.1.1 გაუწიოს ორგანიზება სამეცნიერო კონფერენციას ან მსგავსი ხასიათის ღონისძიებას, როგორც ადგილობრივ, ისე - საერთაშორისო დონეზე;

3.1.2 ითანამშრომლოს, როგორც საქართველოს, ისე - უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;

3.1.3 მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში;

3.1.4 მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-მომზადება-განხორციელებაში;

3.1.5 მონაწილეობა მიიღოს ხელმძღვანელის, რეცენზენტის ან/და კონსულტანტის სტატუსით სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომების, ასევე - დოქტორანტთა დისერტაციათა შესრულებაში;

3.1.6 ხელი შეუწყოს სტუდენტების ჩართვას სამეცნიერო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში;

3.1.7 დამოუკიდებლად მოიძიოს მიზნობრივი დაფინანსება, გრანტი, სტიპენდია, გარკვეული სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისთვის, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე - სხვა ალტერნატიული კერძო წყაროდან;

3.1.8 კვალიფიკაციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობისა და საკუთარი დებულების საფუძველზე განახორციელოს სხვა საქმიანობა.

მუხლი 4. სამეცნიერო საბჭო

4.1 ინსტიტუტის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის სრული სამეცნიერო პერსონალი (მთავარი მეცნიერ-

თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მეცნიერ-თანამშრომელი). ასევე, ინსტიტუტის სხვა თანამშრომლები, რომლებსაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი;

4.2 სამეცნიერო საბჭოს საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს მართვა და უფლებამოსილება

5.1. სამეცნიერო საბჭოს წევრები, თავიანთი რიგებიდან, ღია კენჭისყრით, ხმის უმრავლესობით, ირჩევენ თავმჯდომარეს 4 წლის ვადით;

5.2. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ ერთი და იგივე პირი ზედიზედ შეიძლება აირჩეს მაქსიმუმ ორჯერ;

5.3. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობა არაანაზღაურებადი, საპატიო, წარმომადგენლობითი სამეცნიერო თანამდებობაა.

5.4. სამეცნიერო საბჭო უფლებამოსილია:

5.4.1 განიხილოს და გადაწყვიტოს ინსტიტუტის სამეცნიერო მართვისა და განვითარების საკითხები;

5.4.2 ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალს შორის გაანაწილოს ფუნქციები და დატვირთვები, განსაზღვროს მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა;

5.4.3 განსაზღვროს პრიორიტეტული მიმართულებები, აქტუალური საკითხები, საკვლევი თემები;

5.4.4 განსაზღვროს შესაქმნელი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურა (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია, თარგმანი და ა.შ.);

5.5. სამეცნიერო საბჭოს წევრები მონაწილეობენ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით პროცესში, ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური, წარმომადგენლობითი და სადისერტაციო საბჭოების მუშაობაში.

5.6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო აქტიურად მონაწილეობს ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა და დანერგვაში. ასევე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით, ჩართულია კვლევითი კომპონენტის მონიტორინგის პროცესში.

მუხლი 6. სამეცნიერო საბჭოს სხდომები

6.1. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომათა მოწვევის საკითხს და მათ ინტენსივობას განსაზღვრავს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც წარმართავს საბჭოს სხდომას;

6.2. სამეცნიერო საბჭოს სხდომა ტარდება მხოლოდ ქვორუმის - წევრთა მთლიანი რაოდენობის ნახევარზე მეტის - არსებობის შემთხვევაში;
6.3. სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრის საფუძველზე, ხმათა უმრავლესობით;
6.4. სამეცნიერო საბჭოს სხდომის ჩატარება აისახება ოქმში, რომელსაც აწარმოებს საბჭოს მდივანი და ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესთან ერთად;
6.5. ოქმები ინახება სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარესთან. ოქმის ერთი ასლი გადაეცემა ინსტიტუტის დირექტორს.

მუხლი 7. დირექტორი და მისი დანიშვნის წესი

7.1. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც ახორციელებს ინსტიტუტის ადმინისტრაციულ-საორგანიზაციო საქმიანობას;
7.2. ინსტიტუტის დირექტორი არის ადმინისტრაციული, ანაზღაურებადი თანამდებობა, რომლის ვადა არ აღემატება ხუთ წელს;
7.3. ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს და ფარული კენჭისყრით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. კონკურსისათვის, დირექტორობის კანდიდატი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსა და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წარუდგენს ინსტიტუტის განვითარების ხუთწლიან სტრატეგიას.
7.4. კონკურსის შედეგები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი;
7.5. კონკურსის შედეგები (შესაბამისი მოხსენებითი ბარათით და თანდართული შედეგების ამსახველი ოქმის ასლით) ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომლის დადებითი გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს - კონკურსში გამარჯვებული კანდიდატის მიერ ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დაკავების თაობაზე;
7.6. კანდიდატურის დამტკიცებაზე აკადემიური საბჭოს დასაბუთებული უარის შემთხვევაში სამეცნიერო საბჭო შეარჩევს სხვა კანდიდატურას, ახალი კონკურსის გამოცხადების გზით;
7.7. აკადემიური საბჭოს უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რექტორი უფლებამოსილია ბრძანებით, მაქსიმუმ ექვსი თვის ვადით, დანიშნოს ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
7.8. ერთი და იგივე პირი ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლება დაინიშნოს ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე;
7.9. ინსტიტუტის დირექტორი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც დანიშვნის მომენტში არ შესრულებია 65 წელი. თუ ის დაკავებულ თანამდებობაზე ყოფნისას მიაღწევს ზღვრულ ასაკს, იგი რჩება აღნიშნულ თანამდებობაზე უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. თუ პირს უკავია აკადემიური თანამდებობა, ინსტიტუტის

დირექტორად არჩევის შემთხვევაში მას უფლება აქვს შეათავსოს აკადემიური და ადმინისტრაციული მოვალეობები;

7.10. დაუშვებელია ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობების შეთავსება.

მუხლი 8. ინსტიტუტის პერსონალი და საშტატო რაოდენობა

8.1. ინსტიტუტის პერსონალი შედგება ადმინისტრაციული, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისგან. ინსტიტუტის დირექტორი არის ადმინისტრაციული და სამეცნიერო პერსონალი;

8.2. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი კომპლექტდება და განისაზღვრება შემდეგი პერსონალითა და კვოტით:

8.2.1. არა უმეტეს ექვსი მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

8.2.2. არა უმეტეს ექვსი უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი;

8.2.3. არა უმეტეს ექვსი მეცნიერ-თანამშრომელი;

8.2.4. არა უმეტეს სამი ასისტენტ-მკვლევარი, რომელთა საქმიანობა მიმართულია ინსტიტუტის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის;

8.2.5. არა უმეტეს ორი კონსულტანტი.

მუხლი 9. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

9.1. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. საკონკურსო კომისია შედგება სამი წევრისაგან: ორი წევრი უნდა წარმოადგენდეს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს, ხოლო მესამე (კომისიის თავმჯდომარე), მოწვეულ პირს, რომელსაც აქვს მინიჭებული დოქტორის აკადემიური ხარისხი;

9.2. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, აუცილებელი პირობაა დოქტორის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არა ნაკლებ 6 წლიანი სტაჟი, ან პედაგოგიური მოღვაწეობის (აკრედიტაციაგავლილ უმაღლეს სასწავლებელში) 9 წლიანი სტაჟი, ან საერთო ჯამში (სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის) 10 წლიანი სტაჟი და ჰქონდეს გამოცემული 2 პროფილური წიგნი;

9.3. მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ყოველ 6 წელიწადში ერთხელ, გადის სავალდებულო ატესტაციას (ატესტაციის ჩატარების წესი *იხ. დანართი #2*);

9.4. ატესტაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პირი კიდევ 6 წლით (მორიგი ატესტაციის გავლამდე) იკავებს მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობას;

9.5. ატესტაციის წარუმატებლობლად გავლის შემთხვევაში, პირი ტოვებს დაკავებულ სამეცნიერო თანამდებობას. ამ ვაკანტურ თანამდებობაზე, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს;

9.6. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, სამეცნიერო თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვამდე, უტოლდება უნივერსიტეტის სრული პროფესორის ყოველთვიურ ანაზღაურებას;

9.7. დაუშვებელია მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის შეთავსება აკადემიურ თანამდებობასთან.

მუხლი 10. უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

10.1 უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. საკონკურსო კომისია შედგება სამი წევრისაგან: ორი წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, ხოლო მესამე (კომისიის თავმჯდომარე), მოწვეული პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი;

10.2 უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის აუცილებელი პირობაა დოქტორის აკადემიური ხარისხი და სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის არანაკლებ 3 წლიანი სტაჟი, ან პედაგოგიური საქმიანობის (აკრედიტაციაგავლილ უმაღლეს სასწავლებელში) 6 წლიანი სტაჟი, ან საერთო ჯამში (სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობის) 5 წლიანი სტაჟი და გამოცემული 1 პროფილური წიგნი;

10.3 კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პირი უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობას იკავებს 4 წლის ვადით;

10.4 უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, სამეცნიერო თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვამდე, უტოლდება უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ყოველთვიურ ანაზღაურებას;

10.5 დაუშვებელია უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის შეთავსება აკადემიურ თანამდებობასთან.

მუხლი 11. მეცნიერ-თანამშრომელი

11.1 მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსს აცხადებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო. საკონკურსო კომისია შედგება სამი წევრისაგან: ორი წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, ხოლო, მესამე (კომისიის თავმჯდომარე), მოწვეული პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი;

11.2 კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, პირი სამეცნიერო თანამდებობას იკავებს 3 წლის ვადით;

11.3 მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობა შეუძლია დოქტორს;

11.4 მეცნიერ-თანამშრომლის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება, სამეცნიერო თანამდებობაზე ყოფნის ვადის ამოწურვამდე, უტოლდება უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის ყოველთვიურ ანაზღაურებას;

11.5 კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად, პირს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის 1 წლიანი ან პედაგოგიური მოღვაწეობის (აკრედიტაციაგავლილ უმაღლეს სასწავლებელში) 3 წლიანი სტაჟი;

11.6 დაუშვებელია მეცნიერ-თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის შეთავსება აკადემიურ თანამდებობასთან.

მუხლი 12. სხვა პერსონალი

12.1. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია:

12.1.1. დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;

12.1.2. პერიოდულად მოამზადოს და გამოაქვეყნოს სამეცნიერო სტატიები (მინიმუმ ერთი წელიწადში) და გამოაქვეყნოს ის მეცნიერების ამ დარგში აღიარებულ პერიოდიკაში. საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს ინსტიტუტის აკადემიურ ღონისძიებებში;

12.1.3. შეასრულოს ინსტიტუტის დირექტორის, სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებები და დავალებები. ინსტიტუტის მთავრი მეცნიერ-თანამშრომლის, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის და მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება ხდება ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ღია კონკურსის საფუძველზე. (მეცნიერ-თანამშრომელის თანამდებობის დაკავების წესი იხ. დანართი №1).

12.2 ასისტენტ-მკვლევარი - შეიძლება იყოს მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტი;

12.3 კონსულტანტად შესაძლებელია დაინიშნოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი;

12.4 ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევართა, კონსულტანტთა და სხვა პერსონალის კანდიდატურებს შეარჩევს დირექტორი და განსახილველად წარუდგენს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, დირექტორი მოხსენებითი ბარათით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას;

12.5 ინსტიტუტის ასისტენტ-მკვლევარი და კონსულტანტი 2 წლის ვადით, გაგრძელების უფლებით, ინიშნებიან რექტორის ბრძანებით. სხვა პერსონალთან შრომითი ურთიერთობა რეგულირდება ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით;

12.6 ინსტიტუტის დასაქმებულთა თანამდებობრივი სარგო, უნივერსიტეტის ბიუჯეტის გათვალისწინებით, მზარდია თანაბრად ყველა თანამშრომლისათვის;

12.7 სამეცნიერო თანამდებობაზე მყოფი პირის უფლებები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით, ინსტიტუტის დებულებითა და შრომითი ხელშეკრულებით.

მუხლი 13. პერსონალის უფლებები და მოვალეობები

13.1 პერსონალს უფლება აქვს:

13.1.1 გარე ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა და შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას);

13.1.2 დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის მეთოდები და საშუალებები;

13.1.3 მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების განხორციელებაში;

13.1.4 სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად, მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, აგრეთვე ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის (გრანტების) დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;

13.1.5 განახორციელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებანი.

13.2 პერსონალი ვალდებულია:

13.2.1 დაიცვას ინსტიტუტის დებულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები;

13.2.2 შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;

13.2.3 ყოველწლიურად წარადგინოს შესრულებული სამუშაოს ანგარიში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3 ინსტიტუტის დირექტორის უფლებამოსილებები

13.3.1 წარმართოს ინსტიტუტის საქმიანობა დებულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად;

13.3.2 კოორდინაცია გაუწიოს უნივერსიტეტში დაგეგმილი და განსახორციელებელი ღონისძიებების ეფექტიანად წარმართვას და წარმოადგინოს ინსტიტუტი მესამე პირებთან ურთიერთობაში;

13.3.3 კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს ინსტიტუტში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით პროცესს;

13.3.4 კოორდინაციას უწევს ინსტიტუტის მონაწილეობას სამეცნიერო და საგრანტო პროექტებში;

13.3.5 უხელმძღვანელოს ინსტიტუტის “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის შიდა კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებებისა და საქმიანობის განხორციელების პროცესს;

13.3.6 გაანაწილოს მოვალეობები ინსტიტუტის საქმიანობაში ჩართულ პირებს შორის, მისცეს მათ მითითებები და დავალებები;

13.3.7 წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს განვლილი წლის საქმიანობის ანგარიში;

13.3.8 ინსტიტუტის განვითარების მიზნით, რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგინოს წინადადებები ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

13.3.9 განახორციელოს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრული სხვა ფუნქციები;

13.3.10 წარმოადგენს ინსტიტუტს უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან.

მუხლი 14. დარგის მოწვეული სპეციალისტი

14.1. ცალკეულ პროექტებთან დაკავშირებით, დადასტურებული აუცილებლობის შემთხვევაში, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, ინსტიტუტმა შეიძლება მოიწვიოს შესაბამისი პროფილის, მიმართულების, დარგის სპეციალისტი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი;

14.2. ამ პირთან, ინსტიტუტის დირექტორის წარდგინებით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აფორმებს ვადიან ხელშეკრულებას (მინიმუმ 1 თვით და მაქსიმუმ 2 წლით).

მუხლი 15. ინსტიტუტის ბიუჯეტი

15.1. ინსტიტუტი, უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტს და განსახილველად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს;

15.2. აკადემიური საბჭო განიხილავს და უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს;

15.3. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ინსტიტუტის ბიუჯეტს ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

15.4. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ინსტიტუტის ბიუჯეტის დამტკიცებაზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ინსტიტუტის დირექტორი ხელახლა შეიმუშავებს ინსტიტუტის ბიუჯეტს და კვლავ წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

15.5. თუ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ, ზედიზედ სამჯერ განუცხადა უარი ინსტიტუტის ბიუჯეტის პროექტს, ინსტიტუტის დირექტორი ავტომატურად ტოვებს დაკავებულ თანამდებობას;

15.6. ინსტიტუტის დროებით ბიუჯეტს (არაუმეტეს ექვსი თვის ვადისა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

მუხლი 16. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

16.1 წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ დ ებულების დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად;

16.2 წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად დებულების სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა დებულებით (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი;

16.3 წინამდებარე დებულებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას ან/და უნივერსიტეტის მოქმედ შიდა კანონმდებლობას შორის სამართლებრივი კოლიზიის დროს, უპირატესობა მიენიჭება ამ უკანასკნელს;

16.4 დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე. მისი დამტკიცების უფლებამოსილება გააჩნია წარმომადგენლობით საბჭოს;

16.5 წინამდებარე დებულების ამოქმედებით, უნივერსიტეტში უკვე არსებული- წარმომადგენლობით საბჭოზე დამტკიცებული 07.09.2017 #15 დებულება კარგავს ძალას და ზემოხსენებულ საკითხზე იურისდიქცია გააჩნია მხოლოდ წინამდებარე დებულებას.